*დანართი №1*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ქართული სასწავლებელი - თბილისი

**შეფასების თარიღ(ებ)ი 12, 13 ივლისი 2022 წ.**

**დასკვნის წარდგენის თარიღი 10 აგვისტო 2022 წ.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | ქართული სასწავლებელი-თბილისი |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 404382752 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | თბილისი |
| იურიდიული მისამართი | როდენის ქ. #4 |
| ფაქტობრივი მისამართი | ქეთევან წამებულის გამზირი N23 |
| საფოსტო ინდექსი | 0144 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | www.geo.school |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | admin@gseh.org; info@gseh.org |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 2 745496 |
| ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი) | ეთერ სვანიძე |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 595 226500 |
| ელ-ფოსტა | Geoschool@gseh.org |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 28/06/2022წ. ბრძანება MES 8 22 0000720730 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ქართულ სასწავლებელ-თბილისში ვიზიტის შესახებ |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 12,13 ივლისი. 2022 წ. |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ლიანა კობესაშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | ნინო მუმლაძე |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | | | |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | | | |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების | **მუხლი 7 / პუნქტი** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | ვ. ა) | | |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ) | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ) | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ) | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე) | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და | მუხლი 7/ პუნქტი თ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | | | |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | **მუხლი 7/ პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | **მუხლი 8/ პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | **მუხლი 8/ პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა | **მუხლი 8/ პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | | | |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ..... |
| | *1.2.* | ..... |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.2.* | ..... |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ..... |
| | *1.2.* | ..... |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.1.* | ..... |
| | *2.2.* | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | • სკოლას აქვს საავტორო პროგრამა, რომელიც გულისხმობს მჭიდრო საგანთაშორის ინტეგრირებას;<br>• სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა. შემუშავებულია მატრიცები და შეფასების სოლო ტაქსონომიის რუბრიკები;<br>• სკოლაში ფუნქციონირებს სამეცნიერო ცენტრი, რომლის ფარგლებშიც მუშავდება სასწავლო მასალები, სახელმძღვანელოები და რესურსები;<br>• სკოლას აქვს კარგად ორგანიზებული, ძლიერი არაფორმალური განათლება - საზაფხულო ბანაკები, სადაც მოსწავლეები არაფორმალურ გარემოში ეუფლებიან ცოდნას და იმუშავებენ უნარ-ჩვევებს;<br>• სკოლა აქტიურად ამყარებს ურთიერთობებს საერთაშორისო დონეზე. კერძოდ, სკოლა თანამშრომლობს იაპონიის, ჩეხეთის და გერმანიის საელჩოებთან, ჩართულია გერმანიის საერთაშორისო პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც გასცემს შპრახის დიპლომს;<br>• სკოლაში აქტიურად სტუმრობენ აღნიშნული ქვეყნის ელჩები და ადგილზე ეცნობიან სასკოლო კულტურას, მიღწევებს და სკოლის საჭიროებებს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **დაწესებულების მისია** | აღზარდოს მოაზროვნე, თავისუფალი, ღირსეული, საკუთარი ქვეყნისა და თავის პლანეტის მომავალზე პასუხისმგებელი თაობა, რომელიც აცნობიერებს, რომ მთელი კაცობრიობის მომავალი ადამიანისა და გარემოს ჰარმონიულ თანაარსებობაზეა დამოკიდებული. სასწავლებელში შექმნას ისეთი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის ნიჭისა და უნარის მაქსიმალურ გამოვლენას. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

| | |
|---|---|
| **წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა** | სკოლაში წინა ვიზიტი განხორციელდა 2016 წელს. ვიზიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციები უკავშირდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პირველ სტანდარტს, საგანმანათლებლო პროგრამებს.<br>• ვინაიდან სკოლა პირველი კლასიდან ასწავლის გერმანულ ენას, მიეცა რეკომენდაცია მეორე უცხოურ ენად მოსწავლეებისათვის შეეთავაზებინა ინგლისური ენა (და არა რუსული ენა). რეკომენდაცია შესრულებულია;<br>• სკოლას მიეცა რეკომენდაცია სასკოლო სასწავლო გეგმაში გამიჯნულიყო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურების სახე (სავალდებულო/ფაკულტატურული). რეკომენდაცია შესრულებულია |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| **მოსწავლეთა რაოდენობა: 767** | **ექსპერტი ეთანხმება**<br>☒ | **აღწერა**<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | **ექსპერტი არ ეთანხმება**<br>☐ | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

### 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ერთიანი დოკუმენტია, აქვს სარჩევი, დანომრილია და ახლავს დანართები. წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობდნენ სასწავლებლის დირექტორი, საგნობრივი კათედრები და მასწავლებლები. სასკოლო სასწავლო გეგმა დაამტკიცებულია სასწავლებლის დირექტორის 08.09.2021წ. ბრძანებით N1/15. გეგმაში სასწავლო წლის განმავლობაში დირექტორის ბრძანებით სამჯერ შევიდა ცვლილება. ცვლილებების განხორციელება გამოწვეული იყო ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის და საათობრივი ბადის ცვლილების გამო.<br>სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასკოლო სასწავლო გეგმისათვის საჭირო ყველა კომპონენტს. აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო კონცეფცია, პრიორიტეტები და მიღწევის გზები.<br>დაწესებულების მისია შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და ასახავს კონკრეტულად „ქართული სასწავლებელი-თბილისი“-ს ძირითად დანიშნულებას-აღზარდოს მოაზროვნე, თავისუფალი, ღირსეული, საკუთარი ქვეყნისა და თავის პლანეტის მომავალზე პასუხისმგებელი თაობა. მისიას იცნობს და იზიარებს სასკოლო საზოგადოება, რაც დადასტურდა მშობლებთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუთი.<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია საფეხურის მიზნები, რაც ერთის მხრივ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საფეხურის მიზნებთანაა თანხვედრაში და მეორეს მხრივ სკოლის მისიის მიღწევას უწყობს ხელს.<br>„ქართულ სასწავლებელ-თბილისში“ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საავტორო პროგრამით და შესაბამისად სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის 56-ე მუხლით განსაზღვრულ საათობრივი ბადის მესამე მოდელს. საათობრივი ბადე და სასწავლო პროგრამები შემუშავებულია თავად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თავისი შეხედულებისამებრ და შეთნხმებულია განთლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტთან (შპს ქართული სასწავლებლის 2021 წლის 13 სექტემბრის წერილი N16 და 2021 წლის 19 ოქტომბრის წერილი N45/რ. ძველი თბილისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის სახელზე-განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შუამდგომლობის თაობაზე და წერილი MES 2 21 0001153969). MES 2 21 0001153969 წერილის თანახმად სამინისტრო არ არის წინააღმდეგი შპს „ქართული სასწავლებელი-თბილისის“ დირექციამ სასწავლო პროცესი წარმართოს წარდგენილი სასკოლო საათობრივი ბადის მიხედვით. სასწავლებლის საავტორო პროგრამის მიხედვით საგნები ისწავლება განსხვავებული სქემით. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მთელი რიგი საგნები სასწავლო ბადით განსაზღვრული არ არის, ისინი ინტეგრირებულია სამყაროსმცოდნეობაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში და საქართველოსმცოდნეობაში. კერძოდ:<br>• საგანი ბუნებისმეტყველება ინტეგრირებულია სამყაროსმცოდნეობაში, საქართველოსმცოდნეობაში და ქართულ ენასა და ლიტერატურაში;<br>• საგანი მე და საზოგადოება ინტეგრირებულია საქართველოსმცოდნეობაში, სამყაროსმცოდნეობასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში. სამყაროსმცოდნეობაში ჩართული მე და საზოგადოების სასწავლო პროგრამა მიმდინარეობს ქართულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე;<br>• ჩვენი საქართველო ინტეგრირებულია საქართველოს მცოდნეობაში, სამყაროსმცოდნეობაში (კონკრეტულად მდგრად განვითარებაში, მწვანე ეკონომიკაში და მე და სამყაროში), ხელოვნებაში, მუსიკაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში.<br>რაც შეეხება თვითონ სამყაროსმცოდნეობას, აღნიშნული ბლოკი დაწყებით კლასებში (I-VI კლასები) მოიცავს:<br>• მე და სამყაროს;<br>• ასტრონომიას;<br>• სამყაროს გეომეტრიას;<br>• მწვანე ეკონომიკას;<br>• ფიზიკას;<br>• ქიმიას;<br>• მდგრად განვითარებას. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხოლო საბაზო-საშუალო საფეხურზე მოიცავს ჩამონათვალს:

- მსოფლიო ისტორია და საქართველო;
- გეოგრაფია;
- ფიზიკა;
- ქიმია;
- ბიოლოგია ;
- მდგრადი განვითარება.

არჩევითი საგნების ბლოკში სკოლა მოსწავლეებს ასარჩევად სთავაზობს: მეწარმეობის საფუძვლებს, ეკონომიკასა და სახელმწიფოს, კომპიუტერულ მეცნიერებებს.

სკოლაში მოსწავლეები პირველი კლასიდან სწავლობენ ორ უცხოურ ენას. გერმანული ენა ისწავლება I-IV კლასებში სიმღერით (ზეპირმეტყველება) და მეორე კლასიდან პარალელურად ჩვეულებრივ ფორმატში. გერმანული ენის სწავლება მიმდინარეობს DSD (Deutsches Sprachdiplom) პროგრამით. დაწესებულებას მინიჭებული აქვს DSD (Deutsches Sprachdiplom) სკოლის სტატუსი. რაც გულისხმობს გერმანული ენის, როგორც უცხოური ენის ან/და მეორე ენის სწავლებასა და მოსწავლეების DSD–ს ერთიანი, ცენტრალიზებული გამოცდებისთვის მომზადებას. აღნიშნული პროგრამით სწავლება მოსწავლეებს აძლევს როგორც გერმანული ენის დაუფლების, ასევე დასავლურ კულტურასთან, ფასეულობებთან და ღირებულებებთან ზიარების საშუალებას. V კლასის ბოლოს გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მოსწავლეები იღებენ A1, IX კლასში – A 2–B1(DSD I), ხოლო XII კლასში B2 –C1(DSD II) დონის ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო დიპლომებს.

რაც შეეხება ინგლისურ ენას, ის I-III კლასში ისწავლება სიმღერის (ზეპირმეტყველება) სახით, ხოლო მეოთხე კლასიდან ჩვეულებრივი საგაკვეთილო ფორმით.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით სავალდებულო საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებაში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს **:**

| კლასი | საგანი |
|---|---|
| I, II, III | მსოფლიო ლიტერატურა |

| კლასი | საგანი |
|---|---|
| V, VI | მსოფლიო ლიტერატურა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გერმანული ზეპირმეტყველება (სიმღერა) | | მე და სამყარო |
| | | მე და სამყარო | | ასტრონომია |
| | | ასტრონომია | | მწვანე ეკონომიკა |
| | | სამყაროს გეომეტრია | | მდგრადი განვითარება |
| | | ჭადრაკი | | საქართველოსმცოდნეობა |
| | IV | მსოფლიო ლიტერატურა | VII | მსოფლიო ლიტერატურა |
| | | გერმანული ზეპირმეტყველება (სიმღერა) | | ფოლკლორი/მითოლოგია |
| | | მე და სამყარო | | მდგრადი განვითარება |
| | | ასტრონომია | | იაპონური ენა |
| | | სამყაროს გეომეტრია | VIII-IX | მსოფლიო ლიტერატურა |
| | | მწვანე ეკონომიკა | | ფოლკლორი/მითოლოგია |
| | | საქართველოსმცოდნეობა | | მდგრადი განვითარება |
| | იაპონური ენა მეშვიდე კლასში ისწავლება სავალდებულო სახით და ის მოსწავლეებს აცნობს იაპონურ დამწერლობასა და კულტურას, წარმოადგენს ერთგვარ შესავალ/გაცნობით პროგრამას. იაპონური ენა მომდევნო კლასებში იძენს უკვე ენის სწავლების ფორმას და შეთავაზება ხდება ფაკულტატურული | | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სახით.<br>სკოლა ასევე ფაკულტატურული სახით სთავაზობს მოსწავლეებს რუსული ენის (მესამე კლასიდან) და ჩეხური ენის (მეშვიდე კლასიდან) შესწავლას.<br>სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები:<br>• „მწვანე ბიზნესი (VI-XII კლასების მოსწავლეთათვის), კლუბი ფუნქციონირებს დაწესებულებასა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ბიზნესის ასოციაციის „მიერ 2019 წელს გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში. კლუბი, მწვანე ბიზნესის ასოციაციასთან ერთად, ახორციელებს ერთობლივ პროექტებს (ხეჭრილი, სვანური მარილი, ცხვარი, ენერგოდაზოგვა). კლუბს აქვს დებულება და სამოქმედო გეგმა;<br>• მკითხველთა კლუბი-მოსწავლეები ეცნობიან ქართველ და უცხოელ ავტორების შემოქმედებას. კლუბში გაერთიანება შეუძლია ნებისმიერ მოსწავლეს სურვილის მიხედვით;<br>• ინგლისურენოვან მკითხველთა კლუბი The King's and Queen's Club IV-XII კლასის მოსწავლეებისათვის;<br><br>**სკოლაში ასევე ფუნქციონირებს წრეები:**<br>• მანგასა და კომიქსების წრე V-IX კლასის მოსწავლეებისათვის;<br>• ხელოვნების წრე I-IV და IV-VIII კლასის მოსწავლეებისათვის;<br>• თეატრის წრე სამივე საფეხურზე;<br>• მუსიკის წრე. ამ წრეზე მოსწავლეებს შეუძლიათ შეისწავლონ ფორტეპიანოზე, ვიოლინოზე, ფლეიტაზე, გიტარაზე, საყვირსა და აკორდეონზე დაკვრა;<br>• ქართული ცეკვის წრე I-VII კლასის მოსწავლეებისათვის;<br>• რაგბის წრე სკოლის ნებისმიერი კლასის მოსწავლისათვის. რაგბის შესწავლისათვის სკოლა თანამშრომლობს რაგბის კლუბთან „ხულიგანა". მოსწავლეების ტრანსპორტირებას რაგბის მოედანზე სავარჯიშოდ ახდენს რაგბის კლუბის წარმომადგენელი;<br>• ცურვის წრე. სკოლა თანამშრომლობს ორთაჭალაში მდებარე სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსთან - „Sport Time", წრე განკუთვნილია ყველა ასაკის მოსწავლისათვის. აუზზე ტრანსპორტირებასა და მოსწავლეთა ზედამხედველობას ახორციელებს სკოლა;<br>• ბალეტის წრე I - VI კლასის მოსწავლეებისათვის;<br>• გახანრძლივებული ჯგუფი. გახანგრძლივებულ ჯგუფში მიიღებიან მოსწავლეები I-V კლასების ჩათვლით. ჯგუფი ფუნქციონირებს მოსწავლისათვის ძირითადი სასწავლო პროცესის დასრულებიდან 18:00 საათამდე. გახანგრძლივებული ჯგუფის სამუშაო პროცესი მოიცავს: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოსწავლის მეცადინეობას, ორჯერად კვებასა და ფიზიკურ აქტივობებს;<br><br>სკოლაში ასევე ფუნქციონირებს :<br>• ქართული და საერთაშორისო საგუნდო მუსიკის გუნდი, სადაც I-VI კლასების მოსწავლეები შეისწავლიან, როგორც ქართულ ტრადიციულ მუსიკას, ასევე უცხო ქვეყნების საგუნდო მუსიკას;<br>• ქართული ხალხური, ქალაქური სიმღერისა და საგალობლების გუნდი, სადაც I-VI კლასის მოსწავლეები სწავლობენ, როგორც ქალაქურსა და ხალხურ სიმღერებს, ასევე საგალობლებს.<br><br>დაწესებულებაში ფუნქციონირებს სასწავლო კვლევითი ბანაკები:<br>ეკოლოგიური - მხარეთმცოდნეობის და სასპორტო ბანაკები აწყურსა და ბაკურიანში. ვიზიტის პერიოდში მოსწავლეთა ნაწილი იმყოფებოდა ბაკურიანის ბანაკში. სასკოლო სასწავლო გეგმით აგრეთვე განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების ორგანიზება. სსსმ მოსწავლე სკოლას არ ჰყავს.<br>სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლა მუშაობდა 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებაზე. კერძოდ, სკოლა ამუშავებდა/აანალიზებდა თანამშრომლების, მოსწავლეების და მასწავლებლების გამოკითხვის შედეგებს, საფეხურის ხელმძღვანელების, ბიბლიოთეკარის, მნის, საქმისმწარმოებლის, დამრიგებლების მიერ წარმოდგენილი ანგარიშებს.<br>ამრიგად, სასკოლო სასწავლო გეგმა ემსახურება სკოლის მისიისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2021 წლის 8 სექტემბრის ბრძანება 1/15. სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების თაობაზე აკადემიური კალენდრის დამტკიცების თაობაზე, დამხმარე სახელმძღვანელოების დამტკიცების თაობაზე;<br>• 2021 წლის. 15 სექტემბრის 1/19 ბრძანება სასკოლო სასწავლო გემის დამტკიცების შესახებ N1/15 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;<br>• 2021 წლის 29 ოქტომბრის ბრძანება 1/26 2021-2022 სასწ.წ. სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივი ბადის დამტკიცების შესახებ N1/14 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ;<br>• 2022 წლის 28 იანვარის ბრძნება N1/38 საათობრივი ბადის და მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის დამტკიცების შესახებ N1/14 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ;<br>• წერილი MES 2 21 0001153969 საათობრივი ბადის შეთანხმებაზე დანართი 1. 4 ფურცელი;<br>• საათობრივი ბადე. დანართი 2. 2 ფურცელი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • საფეხურის ხელმძღვანელების, დამრიგებლების, საქმისმწარმოებლის, მნის, ბიბლიოთეკარის ანგარიშები;<br>• მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების მიერ შევსებული კითხვარები;<br>• ინტერვიუ მშობლებთან, დირექციასთან. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულების ამოცანაა შეუქმნას მოსწავლეს პირობები საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად, ჩამოუყალიბოს სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება და სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. აღჭურვოს ის ფუნქციური ცოდნით. რისთვისაც დაწესებულებას:<br>• შემუშავებული აქვს საკუთარი საავტორო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგანთა ნაწილი. მთლიანობაში სკოლა მოსწავლეს აძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ცოდნას და უმუშავებს უნარ-ჩვევებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს.<br>• აქტიურად იყენებს საზაფხულო და ზამთრის ბანაკებს, როგორც არაფორმალური განათლების ინსტრუმენტებს. აღნიშნულ ბანაკებში მოსწავლეები დატვირთულები არიან შემეცნებითი აქტივობებით, გასვლითი გაკვეთილებით. ვიზიტის პერიოდში 25 მოსწავლე იმყოფებოდა ბაკურიანის ბანაკში. ბანაკში მოსწავლეები მუშაობენ წინასწარ განსაზღვრული პროგრამით/პროექტებით.<br>• სკოლაში ფუნქციონირებს სამეცნიერო ცენტრი და ცხრა საგნობრივი კათედრა:<br>-ქართული ენისა და ლიტერატურის;<br>-მათემატიკის;<br>-საზოგადოებრივი მეცნიერებების ;<br>-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების;<br>-ესთეტიკა/სპორტის;<br>-გერმანულის ენის;<br>-ინგლისური ენის;<br>-რუსული ენის;<br>-მდგრადი განვითარების.<br>კათედრები საკუთარ საქმიანობას წარმართავენ სასწავლო წლის დასაწყისში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად. სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელობით, საგნობრივ კათედრებზე საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები ამუშავებენ სასწავლო პროგრამებს-კურიკულუმებს, ადგენენ მატრიცებს და თემატურ გეგმებს. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს ექმნება დროებითი სირთულეები სწავლასთან დაკავშირებით, კათედრა ერთვება პროცესში და გეგმავს და ახორციელებს ინდივიდუალურ მეცადინეობებს მოსწავლესთან;<br>• მოსწავლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევის დონე ფასდება შემაჯამებელი დავალებებით. შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმაში შეჯამებულია მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმილია ინტერვენციები;<br>• სკოლაში ფუნქციონირებს საკმაოდ ძლიერი დამრიგებლის ინსტიტუტი. მოსწავლეთა სასწავლო საჭიროებების, არსებული ხარვეზების დროულად აღმოსაჩენად და საპრევენციო ღონისძიებების დასაგეგმად და განსახორციელებლად დამრიგებლები:<br>-პერიოდულად ისმენენ საგნის მასწავლებლების ანგარიშს თითოეული მოსწავლის სასწავლო წარმატების შესახებ;<br>-პერმანენტულად (თვეში ერთხელ), ახდენენ კლასის მასწავლებელთა საერთო შეხვედრის ორგანიზებას და მოსწავლეთა სასწავლო შედეგების განხილვას;<br>-ესწრებიან საგაკვეთილო პროცესს მოსწავლის შესაძლებლობების უკეთ გასაცნობად და მისი საჭიროებების დასადგენად.<br>დამრიგებლებს შემუშავებული აქვთ სამოქმედო გეგმები კლასების მიხედვით და სამუშაო თემატიკა სადამრიგებლო საათისათვის. სადამრიგებლო პროგრამებში გათვალისწინებულია მოსწავლეებთან მუშაობა მათი პიროვნული და მორალური განვითარების და მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლებისათვის, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრიორიტეტული თემების დამუშავება. სადამრიგებლო საათის თემატიკის და ფორმის მიხედვით, ასევე დამრიგებლების და საფეხურის კოორდინატორების ანგარიშების მიხედვით, დამრიგებელი ზრუნავს მოსწავლეებში სოციალური უნარების, არაფორმალურ გარემოში ცოდნის შეძენა/გაღრმავება/გამოყენებაზე. დამრიგებლები თანამშრომლობენ კათედრებთან. დამრიგებლების მიერ წლის მანძილზე ჩასატარებელ ღონისძიებათა ნუსხა გაკეთებულია ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით;<br>• დაწესებულებამ წარმოადგინა საგაკვეთილო პროცესის შეფასების ფორმა, რომლის ერთ-ერთი კრიტერიუმიც არის განმავითარებელი შეფასების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ეფექტიანად გამოყენების შეფასება;<br>• სკოლის სასწავლო პროგრამა „განათლება მდგრადი განვითარებისათვის“ . ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეებს საშუალებას აძლევთ პროგრამით გათვალისწინებული შედეგები დაძლიონ ფორმალურ და არაფორმალური განათლების მჭიდრო კავშირში. დაწესებულებამ, იმისათვის რომ მოსწავლეებს საშუალება მისცეს საკუთარი შესაძლებლობები გამოავლინონ და მაქიმალურად მოახდინონ თვითრეალიზება, სასწავლო პროცესის ნაწილად აქცია:<br>-კონფერენციებისა და გამოფენების მოწყობა;<br>-გარემოსდაცვითი აქტივობები;<br>-ინტერაქტიული გაკვეთილები;<br>-გასვლითი გაკვეთილები-მუზეუმებში (მაგ. გასვლითი ინტეგრირებული გაკვეთილი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ხელოვნება, მუსიკა), ილუზიების მუზეუმში (სამყაროსმცოდნეობა) და სხვა);<br>-თემატური ექსკურსიები;<br>-ბანაკები.<br>• მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას უწყობს ასევე ხელს ბიბლიოთეკარის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო აქტივობები, ლექციები, წიგნის საჯარო კითხვის დღისადმი მიძღვნილი კვირეულები, ხელნაკეთი წიგნების დამზადება და სხვა;<br>• სკოლის პრაქტიკიდან გამომდინარე მოსწავლეები მონაწილეობენ ეროვნულ ოლიმპიადებში. უფრო ხშირად წარმატებებს აღწევენ ენებში და მათემატიკაში;<br>• მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლა სასწავლო პროცესში ნამდვილად ახდენს ახალი მოსწავლის ადაპტაციის ხელშეწყობას და მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით დამატებით მეცადინეობების დაგეგმვა/განხორციელებას.<br>შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა, მატრიცები, მოსწავლეთა ინდივიდუალური პროგრესის მახასიათებელი დიაგრამები, კომპლექსური დავალებები და მათ შეფასებისას გამოყენებული დაკვირვებადი სასწავლო შედეგების სოლო ტაქსონომია, ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან, სადამრიგებლო გეგმები იძლევა იმის საფუძველს, რომ ვისაუბროთ სასკოლო სასწავლო გეგმის რელევანტურობაზე შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2020 წლის 08 ივლისი ბრძანება 1/55. სამეცნიერო ცენტრის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ და კათედრის დებულების დამტკიცების შესახებ; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ბიბლიოთეკარის ანგარიში;<br>• კათედრების ანგარიშები;<br>• საფეხურის ხელმძღვანელების ანგარიშები;<br>• სადამრიგებლო პროგრამები;<br>• დამრიგებლის დებულება;<br>• ინტერვიუ დირექციასთან, ბიბლიოთეკართან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულება, ორიენტირებულია უზრუნველყოს მისი თითოეული მოსწავლე სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. რისთვისაც, სასწავლებელში მიმდინარეობს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების შეფასება და შესაბამისი შედეგების ანალიზი, დადგენა, თუ რა მიმართულებით სჭირდება მოსწავლეს განვითარება.<br>სასწავლებელს შემუშავებული აქვს სპეციალური ტესტი, რომელიც ზომავს მოსწავლის, როგორც თეორიულ ცოდნას ასევე სააზროვნო უნარებს. აღნიშნულ ტესტირებას სკოლაში ატარებენ კოორდინატორები, რომლებიც აკეთებენ მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალებების ანალიზს, სპეციალურად სკოლის მიერ შექმნილი კომპიუტერული პროგრამის დახმარებით. მოსწავლეთა შედეგები განიხილება კათედრების მიერ და იგეგმება გამოკვეთილი საჭიროებების გაუმჯობესების მექანიზმები.<br>პანდემიით გამოწვეული დისტანციური სწავლების დროს იყო შემთხვევები, როდესაც მოსწავლეებს დასჭირდათ დახმარება ქიმიაში, მათემატიკასა და გერმანულ ენაში. სკოლამ მათ აღმოუჩნა შესაბამისი დახმარება.<br>დაწესებულებაში სსსმ მოსწავლე არ სწავლობს, თუმცა სკოლა გამოხატავს მზაობას, სსსმ მოსწავლის არსებობის შემთხვევაში. კანონმდებლობის სრული დაცვით მოახდინოს მოსწავლის ადაპტირება სასკოლო სივრცეში და ხელი შეუწყოს მისი საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლის შეფასების სისტემა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემის ანალოგიურია და ორინეტირებულია ერთის მხრივ მოსწავლეთა სასწავლო შედეგების, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და მეორეს მხრივ სწავლა/სწავლების ხარისხის მონიტორინგზე. იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს შეფასება, თუ რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტში, სკოლას შემუშავებული აქვს კომპლექსური დავალებები და კომპლექსური დავალებების შეფასების დაკვირვებადი სოლო ტაქსონომია.<br>მოსწავლის მიერ კონკრეტული საგნის ათვისების ხარისხის შეფასებისთვის, შესაბამის კრიტერიუმებზე დაყრდნობით, დაწესებულებაში დანერგილია მოსწავლეთა ცოდნის შეფასების 10-ქულიანი და ხუთდონიანი სასტემა. მოსწავლის შეფასებისას მოწმდება სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მასალის სრულყოფილი ცოდნა, საგანთაშორისი კავშირების ხედვის, დამოუკიდებელი მუშაობის, ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი აზროვნების, მასშტაბურად ხედვის, წერილობითი კომუნიკაციის უნარები, პასუხისმგებლობის გრძნობის, საკლასო და საშინაო დავალებების შესრულების ხარისხი და ფასდება განმსაზღვრელი და/ან განმავითრებელი შეფასებით. დამატებით სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლებში მოსწავლე ფასდება ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა სისტემით.<br>სკოლა ატარებს წლიური გამოცდებს გერმანულ ენაში (მიმდინარე სასწავლო წელს VII, IX კლასი და XI კლასებში). სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ამ გამოცდის ჩატარების თარიღი, წლიური გამოცდის ქულის გავლენა მოსწავლის შეფასებაზე, საგამოცდო დავალებების ფორმა და შინაარსი. ინფორმაცია გამოცდების შესახებ სასწავლო წლის დასაწყისშივე მიეწოდათ მოსწავლეებს.<br>დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი.<br>კათედრებს შემუშავებული აქვთ მოსწავლის შეფასების ზოგადი რუბრიკები სხვადასხვა კომპნენტებში, რუბრიკები ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის.<br>სკოლაში მიდინარეობს მოსწავლის ცოდნისა და უნარების მრავალმხრივი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეფასება, გაანალიზება და მიღებული შედეგების შესაბამისად იგეგმება ინტერვენციები სასწავლო პროცესში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• ინტერვიუ მშობლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან;<br>• კომპლექსური დავალებები და მოსწავლეთა შეფასებები. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გარდა იმისა, რომ მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია აქვს კლასის დამრიგებელს (sms შეტყობინება, სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი, პირისპირ შეხვედრა) და აწვდის მათ ყველა მათთვის საინტერესო ინფორმაციას, მშობლებს ინფორმაცია მოსწავლეთა შესახებ მიეწოდებათ ელექტრონული ჟურნალის edupage-ის დახმარებითაც.<br>ყოველი კვირის პარასკევი დღე განკუთვნილია მშობლის დღედ სკოლაში და ყველა მასწავლებელი ვალდებულია ამ პერიოდში (13:00-17:00) იმყოფებოდეს ადგილზე და შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს. სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი მუხლები არეგულირებს მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) უფლება/მოვალეობებს. შინაგანაწესით ასევე გაწერილია მშობელთა სათათბიროს არსებობა, აღნიშნული სათათბიროს მიზანია სასწავლებლის საქმიანობის გამჭვირვალობის ხელშეწყობა და აგრეთვე სასკოლო ცხოვრებაში მშობლების აქტიური ჩართვის უზრუნველყოფა. მშობელთა სათათბირო ზრუნავს სკოლასა და ოჯახს შორის პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და თანამშრომლობაზე;<br>მშობელთა სათათბირო თავის საქმინაობას წარმართავს შპს „ქართული სასწავლებელი-თბილისის“ მოსწავლეთა, მშობელთა და გაერთიანებული სათათბიროების მოქმედების წესის საფუძველზე.<br>სკოლა მშობლებს საშუალებას აძლევს წამოაყენონ ინიციატივები და შემდეგ ეხმარება მათ ამ ინიციატივების განხორციელებაში. მშობლები ინტერვიუს დროს იმ ღონისძებებს იხსენებდნენ, რომლებიც მათი ინიციატივით ჩატარდა სკოლაში. ეს იყო საქველმოქმედო გამოფენა, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, ბარისახოს სკოლაში გასაგზავნი წიგნების შეგროვება. მშობლის ინიციატივით დაიგეგმა ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც GWP ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის წარმომადგენლებმა ჩაუტარეს ლექცია მოსწავლეებს. მშობლები ასევე აქტიურად იყვნენ ჩართული ვიდეორგოლის დამზადებაში მოსწავლეებთან ერთად (ჯანმრთელი ცხოვრების საწინდარია სპორტული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ცხოვრება).<br>სკოლას აქვს მშობელთა წახალისების მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც სასწავლებელი აქტიურ მშობლებს აჯილდოებს სიგელებით ნომინაციაში „სასკოლო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობისა და საუკეთესო თანამშრომლობისთვის“. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2016 წლის 1 ივლისი ბრძანება 1/60 მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცების შესახებ;<br>• 2020 წლის 3 ივლისი ბრძანება 1/52 მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;<br>• შპს „ქართული სასწავლებელი-თბილისის“ მოსწავლეთა, მშობელთა და გაერთიანებული სათათბიროების მოქმედების წესი;<br>• 1.07.2015 წ. N 1#1/64 ბრძანება;<br>• ელექტრონული ჟურნალი;<br>• ინტერვიუ მშობლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი. სასკოლო სასწავლო გეგმა სკოლისთვის წარმოადგენს იმ ძრითად დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც სკოლაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და შესაბამისად სკოლისთვის მის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება და შეფასებაზე დაფუძნებული გაუმჯობესება უწყვეტი ციკლია. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისათვის სკოლა:<br>• სისტემატურად ახდენს სასწავლო პროცესზე დაკვირვება/მონიტორინგს;<br>• განიხილავს/აანალიზებს მასწავლებლების, კათედრის თავმჯდომარეების, სამეცნიერო ცენტრის, დამრიგებლების, საფეხურის ხელმძღვანელების, მიერ წარმოდგენილი ანგარიშებს.<br><br>ანგარიშგების სტრუქტურა ხორციელდება სქემით:<br>• საგნის მასწავლებლები სემესტრის ბოლოს წარადგენენ ანგარიშს კათედრის თავჯდომარეებთან;<br>• კათედრის თავჯდომარეები წარუდგენენ ანგარიშს სამეცნიერო ცენტრს;<br>• სამეცნიერო ცენტრი ანგარიშს წარადგენს წლის ბოლოს დორექტორთან. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლა აქტიურად იყენებს სასკოლო საზოგადოების ანონიმურ გამოკითხვას და გამოკითხვის შედეგებს ითვალისწინებს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისას.<br>ანგარიშგების აღნიშნული სისტემის შესაბამისი მტკიცებულებები/ანგარიშები დაწესებულებამ წარმოადგინა ვიზიტის პერიოდში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2021 წლის 8 სექტემბერი ბრძანება N1/17 . 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის დამტკიცების თაობაზე;<br>• ბიბლიოთეკარის ანგარიში;<br>• კათედრების ანგარიშები;<br>• საფეხურის ხელმძღვანელების ანგარიშები;<br>• დამრიგებლების ანგარიშები ;<br>• მოსწავლე, მასწავლებელი, მშიბლის მიერ შევსებული კითხვარები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| |
|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: | |
|---|---|
| **დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ქართული სასწავლებელი-თბილისი მდებარეობს თბილისში. დაწესებულების მფლობელობაშია ერთ მისამართზე (ერთ ეზოში) განთავსებული ორი ცალ-ცალკე მდგომი შენობა.<br>მისამართია - ქალაქი თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის სახელობის გამზირი, N23.<br>რეესტრის ამონაწერის მიხედვით<br>დაზუსტებული მიწის ფართი 1896 კვ.მ.<br>შენობა N1-ის საერთო ფართია 2336.03კვ.მ. (სარდაფი 285.41კვ.მ., I სართული 687.41კვ.მ., II სართული 687.41კვ.მ., III სართული 681.15კვ.მ.),<br>შენობა N3 საერთო ფართით: 645.8 კვ.მ. (სარდაფის ფართობი 132 კვ.მ., სასწავლო აუდიტორიების ფართი 331.3 კვ.მ., დამხმარე ფართობი 46 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 136.52 კვ.მ.)<br>სხვა ფართი N2 (განთავსებულია საქვაბე)<br>შენობის მესაკუთრეა შპს „ქართული სასწავლებელი-თბილისი“ ID ნომერი 404382752.<br>იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "ხალიკ ბანკი საქართველო" |
| *ფაქტობრივი მისამართი* | თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის სახელობის გამზირი N23 |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | 01.17.01.121.001 |
| *კვ.მ.* | დაზუსტებული ფართობი 1896 კვ.მ |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | ამონაწერი საჯარო რეესტრიდან |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს ორი ცალკე მდგომი დამოუკიდებელი შენობა. ერთი შენობა დგას გამზირზე, მეორე შენობა შიდა ეზოში. პირველი შენობა არის სამსართულიანი მეორე შენობა ორსართულიანი. მეორე შენობა განკუთვნილია დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის. ორივე შენობაში ჯამში არის 32 საკლასო ოთახი, 2 სააქტო დარბაზი (თითო კორპუსში თითო), ბიბლიოთეკა, ექიმის ოთახი 1, საიზოლაციო ოთახი 1, შეხვედრების ოთახი, ხელოვნებისა და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უცხოური ენების, ისტისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები/კაბინეტები, კათედრების სამუშაო ოთახები, სველი წერტილი ჯამში 16, მათ შორის 1 ადაპტირებული, ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. საკლასო ოთახში დგას მასწავლებლის სამუშაო მაგიდა და სკამი, დაფა, თაროები, კარადები.<br>ვიზიტის პერიოდში სკოლაში ორივე შენობაში განთვსებული იყო ჯამში 540 მერხი და სკამი, დასაწყობებული 244. ჯამურად სკოლას აქვს 784 ინდივიდუალური მერხი და სკამი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ინვოისები;<br>• ინვენტარის (ინდივიდუალური მერხი, სკამი, დაფა) შესყიდვის დოუმენტაცია;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შიდა ეზოში აქვს ღია სპორტული მოედანი, ხოლო ძირითად კორპუსში 83.34 კვ.მ ოთახი რომელიც გამოიყენება სპორტული აქტივობებისთვის. სპორტული დარბაზის მიმდებარე ორი ოთახი გამოიყენება გასახდელებად. სკოლას შეძენილი აქვს სპორტული ინვენტარი ბურთი, ბადეები, ტენისის მაგიდა, ლახტები და სხვა |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ინვოისები;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში ერთ სივრცეშია განთავსებული ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის ლაბორატორია. ლაბორატორია შეიცავს ყველა იმ დასახელების აღჭურვილობას, რაც მოცემულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ №572 ბრძანებით დამტკიცებულ სტანდარტულ საორიენტაციო პაკეტში. ლაბორატორიაში განთავსებულია კარადები, რომლებიც იკეტება და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შესაბამისად მოსწავლეებისათვის ქიმიურ რეაქტივებთან თავისუფალი წვდომა შეზღუდულია. კარადებში დაცულია ინვენტარი, ლაბორატორიაში დამონტაჟებულია, სველი წერტილი და დიდი ფანჯრები. სადემონსტრაციო მაგიდას არააალებადი ზედაპირი აქვს.<br>ადმინისტრაციის განმარტებით მიმდინარეობს მოლაპარაკება ვირტუალურ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შეძენაზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მოძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას ელექტროენერგია მიეწოდება უწყვეტ რეჟიმში. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. ფანჯრის ღიობის ფართი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელ ბუნებრივ განათებულობის დონეს. დამონტაჟებულია ბუნებრივ აირზე მომუშავე გათბობის ცენტრალური სისტემა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • დენის, ბუნებრივი აირისა და წყლის საგადახდო ანგარიშფაქტურები;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებაში ერთ სივრცეშია საბიბლიოთეკო ფონდი და სამკითხველო დარბაზი, თუმცა ბიბლიოთეკის მიმდებარედ არსებული სივრცეში განთვსებულ კარადებში ასევე დაცულია წიგნადი ფონდი და სივრცე იმდაგვარადაა მოწყობილი რომ შესაძლებელია მისი გამოყენება საბიბლიოთეკო საქმანობისათვის, გამოფენების მოწყობისათვის და სხვა. ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი და პრინტერი. სკოლის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია შესაბამისი საფეხურების სასკოლო სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამების შესაბამისი წიგნადი ფონდი, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გრიფირებული სახელმძღვანელოები და მხატვრული, სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურა, პერიოდიკა და ჟურნალები, სკოლის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები. სულ ბიბლიოთეკაში არის 9893 წიგნი. მათ შორის 2095 ერთეული (გრიფირებული და სკოლის მიერ გამოცემული), მხატვრული ლიტერატურა 2458 ერთეული, მეთოდური ლიტერატურა 1376, ენციკლოპედია, ალბომები პერიოდიკა და სხვა ჯამში 3964. წიგნები აღრიცხულია ელექტრონულად, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკარი აწარმოებს წიგნების მოძრაობის აღრიცხვას, აქვს სამოქმედო გეგმა და ანგარიში.<br>ბიბლიოთეკარი თავის საქმიანობას წარმართავს ბიბლიოთეკარის დებულებით. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2014 წლის 01 ოქტომბერი. ბრძანება 1/21. ქართული სასწავლებელი-თბილისის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ;<br>• ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის აღრიცხვის ელექტრონული სისტემა;<br>• ვიზუალური დათვალიერება;<br>• ინტერვიუ ბიბლიოთეკართან;<br>• ბიბლიოთეკის დებულება დამტკიცების ბრძანება 1.10.2014 #1/21 , ცვლილება 01.09.2020. #1/5 ბრძანება;<br>• ბიბლიოთეკარის სამოქმედო გეგმა;<br>• ბიბლიოთეკარის ანგარიში, |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შენობის შიდა სივრცეებში სსსმ მოსწავლის გადასაადგილებლად დამზადებული აქვს მოძრავი პანდუსები.<br>ადაპტირებული სველი წერტილი დაწესებულებას აქვს მხოლოდ ერთ შენობაში. მეორე შენობაში მიდინარეობს მისი მოწყობა. დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება N1/8 გაფორმებული ფიზიკურ პირთან რომლის თანახმადაც სველი წერტილის მოწყობა უნდა დასრულდეს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 30 აგვისტოსი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მომსახურების ხელშეკრულება პანდუსის დამზადებაზე;<br>• მიღება ჩაბარების აქტი;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. ლაბორატორიაში განთავსებულია 6 ლეპტოპი და 12 პერსონალური კომპიუტერი. მათ შორის ერთი მასწავლებლის. ყველა მოწყობილობა ჩართულია ინტერნეტში. კომპიუტერულ კლასში არის ასევე 1 პრინტერი და 2 პროექტორი. სულ სკოლას უფიქსირდება ჯამურად 30 პერსონალური კომპიუტერი და 6 ლეპტოპი. მათ შორის ადმინისტრაციის განკარგულებაშია 6. სკოლის ვებგვერდია www.geo.school, სოციალური გვერდია- ქართული სასწავლებელი.https://www.facebook.com/pisoschool/. სკოლის ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• დომენისა და ჰოსტინგის ინვოისები;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლის შიდა პერიმეტრი აღჭურვილია ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებებით, ცეცხლმაქრებით (სულ 13 ერთეული ცეცხლმაქრი). ცეცხლმაქრები დამუხტულია. დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა N655 სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევის თაობაზე, რომლითაც დაწესებულებას განესაზღვრა ღონისძებათა ჩამონათვალი და შესაბამისი შესრულების ვადები, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაწესებულება ეტაპობრივად ვადების დაცვით ასრულებს შესაბამის მითითებებს.<br>სკოლას 2020 წლის 11 სექტემბრის N1/25 ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ხანძრსაწინააღმდეგო უსაფრთხოების შტაბი.<br>2021 წლის სექტემბერს შრომის უსაფრთხოების ინსპექტორმა სკოლის თანამშრომლების, პედაგოგებისა და ტექ.პერსონალისთვის ჩაატარა მოკლე ინსტრუქტაჟი სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. სკოლის ორივე შენობას აქვს საევაკუაციო გასასვლელი.<br>პანდემიის პირობებში მოსწავლეთა და თანამშრომელთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციაში მოქმედების გეგმა და შეძენილი აქვს შესაბამისი ინვენტარი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა N655 (12.07.2021 წ);<br>• ვიზუალური დათვალიერება ;<br>• შრომის უსაფრთოების ინსპექტორის ანგარიში;<br>• 11.09.2020 #1/25 ბრძანება;<br>• შპს „ქართული სასწავლებელი-თბილისი“ პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა;<br>• ბრძანება 20.08.2020 #55; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ორივე შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ მოზადებული ევაკუაციის გეგმა და გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის სამსახურის ტელეფონის ნომერი - 112. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას ძირითადი შენობის პირველ სართულზე განთავსებული აქვს სათანადოდ აღჭურვილი სამედიცინო დახმარების კაბინეტი. შეძენილი აქვს პირველადი დახმარების გაწევისთვის აუცილებელი მედიკამენტები და ინვენტარი. ექიმი აწარმოებს წამლების მიღების, გატარების, გაცემისა და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ჩამოწერის შესაბამის ფორმებს. სკოლა კონფიდენციალობის დაცვით აწარმოებს მოსწავლეთა მიმართვიანობის აღრიცხვას. 4 მოსწავლეს აქვს თნდაყოლილი/შეძენილი დაავადებები და მათ მშობელთა მოთხოვნის საფუძველზე კურირებდა ექიმი. ექიმი პირდი გამნცხადებით გათვისუფლდა მიმდინარე წლის 24 ივნისს. სკოლამ დადო ვაკანსია. ვაკანსიის ვადა გავიდა 9 ივლისს. ვიზიტის პერიოდში სკოლას ვაკანსიის განაცხადები უკვე განხილული ჰქონდა და გეგმავდა გასაუბრებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2015 წლის 20 ივნისი ბრძანება N1/57 წესრიგის დაცვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის და ექიმის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;<br>• **ცვლილება 2020 წლის 1.სექტემბრის N1/7 ბრძანება;**<br>• **ცვლილება 2022 წლის 23 მარტი N1/45 ბრძნება;**<br>• http://teacherjobs.ge<br>• **ინტერვიუ** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს შპს ქართული სასწავლებელი-თბილისის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები დოკუმენტი შეთნხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (წერილი MES 4 22 0000 255904). შეთანხმება გარკვეული დათქმითაა, რაც დაწესებულებას გათვალისწინებული და ასახული აქვს დოკუმენტში.<br>დაწესებულებას შექმნილი აქვს წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების ჯგუფი და განსაზღვრულია ჯგუფის წევრთა ფუნქციები. ბრძანებით (02.09.2021წ. N1/9) განსაზღვრულია მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე მოსწავლეთა სქესის შესაბამისად, უფლებამოსილი ორი პირი.<br>სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას და სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს.<br>ამრიგად, სკოლა უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **MES 4 22 0000 255904**<br>• შპს ქართული სასწავლებელი-თბილისის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები . 2022 წლის 15 მარტის N1/44 ბრძანება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მთავარი შესასვლელი კონტროლდება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სამი კამერით. შიდა ეზოს სრულად აკონტროლებს 6 ვიდეოკამერა, N1 შენობის შიდა პერიმეტრს აკონტროლებს 16, ხოლო მეორე შენობის შიდა პერიმეტრს 6 ვიდეოკამერა . |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიდეოკონტროლის სისტემის დამონტაჟების დოკუმენტები;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „ახალი ქართული სასწავლებელი-თბილისი“ თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული წესდებით, შინაგანაწესით და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით.<br>• სკოლის ორგანიზაციის წესდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არის შემუშავებული. წესდებით რეგულირდება საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულება და მიზანი, მართვა, საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა, პარტნიორის უფლება-მოვალეობა, ვალდებულებები, საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია;<br>• სკოლის შინაგანაწესის მიზანია უზრუნველყოს სკოლის საქმიანობის საჯაროობა და გამჭვირვალობა, დაწესებულების კონცეფციითა და სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით განსაზღვრული მიზნების განხორციელება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის საქმინობისათვის ხელშეწყობა.<br>შინაგანაწესით რეგულირდება: სასწავლო აღმზრდელობითი პროცესი, სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის, მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანის წესი და პირობები, სასწავლო რეჟიმი, მოსწავლეთა მომსახურების სახეები, სამუშაოსა და დასვენების დრო და სკოლაში დასაქმებულ პირთა შრომითი ურთიერთობების მოწესრიგება და კონტროლი, თანამშრომელთა მიღება/გათავისუფლება, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, დისციპლინური წარმოება. შინაგანაწესით განისაზღვრება დისციპლინური გადაცდომები და დისციპლინური სახდელები, რეგულირდება მშობლებთან ურთიერთობა,<br>შინაგანაწესში ასევე წარმოდეგნილია სკოლის სტრუქტურა და მართვის მექანიზმები. სკოლის ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის, სკოლის სტრუქტურული ერთეულების-მათ შორის დირექტორატის, მშობელთა და მოსწავლეთა სათათბიროს, პედაგოგიური საბჭოს და კლასის პედაგოგიური გაერთიანების, საგნობრივი კათედრების, კლასის დამრიგებლის და სხვა ფუნქციები, შინაგანაწესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი.<br>შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ის განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე.<br>სკოლის სტრუტურული ერთეულები: დირექტორატი, სამეცნიერო ცენტრი, კათედრები და პედაგოგიური საბჭო, ასევე ცალკეული პირები: დამრიგებლები, ბიბლიოთეკარი და ექიმი თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სკოლის მიერ შემუშავებული დებულებების/მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შინაგანაწესი. 1.07.2015 წ. N 1/63 ბრძანება, ცვლილება 04.02.2020 N1/36 ბრძანება;<br>• ბიბლიოთეკის დებულება. 1.10.2014 #1/21 ბრძანება, ცვლილება 01.09.2020. #1/5 ბრძანება;<br>• დამრიგებლის დებულება. 3.07.2020 1/51 ბრძანება;<br>• დირექტორატის დებულება. 20.06.2015 N1/59 ბრძანება;<br>• ექიმის დებულება. 20.06.2015 #1/57 ბრძანება, ცვლილება 1.09.2020 1/7 ბრძანება;<br>• კათედრების დებულება. 8.07.2020 1/55 &2ბრძანება;<br>• ლაბორატორიის დებულება და სარგებლობის წესი. დირექტორის 20.06.2015 #1/57 ბრძანება, ცვლილება 3.07.2020 1/53 ბრძანება;<br>• მოსწავლეთა დამატებითი სასწავლო-სააღმზრდელო მომსახურების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დებულება. 16.09.2021 ბრძანება N1/21;<br>• პედაგოგიური საბჭოს დებულება. 20.06.2015 #1/58 ბრძანება. ცვლილება 6.07.2020 1/54 ბრძანება;<br>• სამეცნიერო ცენტრის დებულება. 1.07.2015 ბრ #1/61 ბრძანება |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| | დაწესებულებამ წარმოადგინა 2016-2022 წწ. სკოლის განვითარების გეგმა და 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. წარმოადგინა გეგმების შესრულების ანგარიშები. რაც შეეხება 2022-2028 წწ-ის სკოლის განვითარების ექვსწლიან გეგმას სკოლაში ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა მასზე მუშაობა.<br>სკოლის განვითარების როგორც მოქმედ, ასევე ახალ სტრატეგიულ გეგმის პროექტში გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შპს "ქართული სასწავლებელი-თბილისის" განვითარების ექვსწლიანი პროგრამა 2016-2022. 09.09. 2016 #1/11 ბრძანება;<br>• შპს "ქართული სასწავლებელი-თბილისის" ერთწლიანი 2021-2022 სასწავლო წლის ს ა მ ო ქ მ ე დ ო გ ე გ მ ა. 8 სექტემბერი 2021 წ. #1/16 ბრძანება<br>• შპს "ქართული სასწავლებელი-თბილისის" განვითარების ექვსწლიანი 2016-2022 წლების სტრატეგიული გეგმის შუალედური (2016-2019 პერიოდი) ანგარიში |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ქართული სასწავლებელი - თბილისი“ ს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების, დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზებასა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | და დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენების საქმეში და ვრცელდება ყველა სახის დოკუმენტაციაზე. სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა. საქმისწარმოების წესით დაზუსტებულია იმ დოკუმენტაციისა და კორესპონდენციების ნუსხა, რომელიც იწარმოება/აღირიცხება დაწესებულებაში. სკოლაში ინახება ყველა დოკუმენტის დედანი ან ასლი. ოფიციალური წერილები ფორმდება სკოლის მიერ შემუშავებულ სატიტულო ფურცელზე. რომელიც დამტკიცებულია 2018 წლის 22 აგვისტოს N1/59 ბრძანებით.<br>სარეგისტრაციო ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია, რაც უზრუნველყოფს მათ სანდოობას და მთლიანობას.<br>საქმისწარმოებას უძღვება საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შ.პ.ს „ქართული სასწავლებელი-თბილისის“ საქმისწარმოების წესი. ბრძანება 2.09.2013 #1/1;<br>• ბრძანება 20.08. 2020 N1/58;<br>• ბრძანება 22.08.2018 N1/59 . |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ქართულ სასწავლებელს ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსი. მართვის საინფორმაციო სისტემის e-school - ის მიხედვით სკოლაში 82 პედაგოგია, მათ შორის 38 მოწვეული მასწავლებელი. სულ ქართულ სასწავლებელში მუშაობს 108 თანამშრომელი.<br>ადმინისტრაციული სტრუქტურას წარმოადგენს: სასწავლებლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სწავლების საფეხურის ხელმძღვანელი რომელიც მართავს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, სამეურნეო მენეჯერი-შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ხარისხის მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, დაცვის სამსახურის უფროსი. დამხმარე და ტექნიკური პერსონალს წარმოადგენენ: ექიმი, ექთანი, ბიბლიოთეკარი, დაცვის თანამშრომელი, დამლაგებელები.<br>სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია შესაბამის დებულებებში. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივ ბადეს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები(დოკუმენტები, ინტერვიუ და სხვა). |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 82 |
| მოწვეული/მაძიებელი | 38 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 0 |
| უფროსი მასწავლებლი | 42 |
| წამყვანი მასწავლებლი | 2 |
| მენტორის სტატუსი | 0 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „ქართული სასწავლებელის“ დირექტორს 10.02.2020 1/39 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც ადგენს შპს „ქართული სასწავლებელი-თბილისში“ მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის საქმიანობის დაწყების, მათ შორის, კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს, კონკურსის ეტაპებს, საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს, რომლის შესაბამისადაც ჰყავს მასწავლებლები აყვანილი.<br>,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-1 მუხლის შესაბამისად, რომელიც ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს სკოლაში დასაქმებული პირებისთვის კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა-გათვალისწინებით სამუშაოზე მისაღებად, მუშაკის სავალდებულოდ წარმოსადგენ დოკუმენტების ნუსხაში, შესაბამისად პედაგოგების პირად საქმეებშიც გათვალისწინებულია აღნიშნული ცნობები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს „ქართული სასწავლებელი-თბილისის“ შინაგანაწესი 1.07.2015 წ. N 1/63 ბრძანება. ცვლილება 04.02.2020 N1/36 ბრძანება;<br>• მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი10.02.2020 1/39 ბრძანება;<br>• პირადი საქმეები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ქართულ სასწავლებელში თანამშრომელთა შერჩევა, მიღება და განთავისუფლება რეგულირდება შინაგანაწესით და „ქართული სასწავლებელი თბილისის“ მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესით.<br>მასწავლებლების შერჩევა ხდება კონკურსით. კონკურსის წესები და პირობები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განსაზღვრულია, სკოლაში შესაძლო ვაკანსიებზე კონკურსის გამოცხადების და ჩატარების წესი“-ს შესაბამისად. აღნიშნული წესის თანახმად, კონკურსის შესახებ განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ, ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე-pedagogi.ge-ზე. განსაზღვრულია კონკურსის ჩატარების პროცედურა, საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და კონკურსის შედეგების გამოცხადება, საპრეტენზიო კომისიის შექმნისა და მუშაობის წესები. სკოლაში სამუშაოზე მიღებულ თანამშრომელთან იდება შრომითი ან მომსახურების ხელშეკრულება და გამოიცემა დირექტორის ინდივიდუალური სამართლებლივი აქტი (ბრძანება).<br>შინაგანაწესის თანახმად, სკოლაში სამუშაოზე მისაღებად, რეგისტრაციაზე გავლისა და გასაუბრების შემდეგ, თანამშრომელი ვალდებულია წარმოადგინოს:<br>• პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა ან პასპორტი)ასლი;<br>• cv - რეზიუმე;<br>• ავტობიოგრაფია;<br>• განათლების დამადასტურებელი (დიპლომის) დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;<br>• 1 ფოტოსურათი და დისკზე ჩაწერილი;<br>• პროფესიული კვალიფიკაციის (სტატუსის) დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;<br>• მიღებული სერთიფიკატები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;<br>• ჯანმრთელობის ცნობა;<br>• ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ;<br>თანამშრომლის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძვლები გაწერილია როგორც შინაგანაწესში ასევე, შრომით ხელშეკრულებაში.<br>სკოლაში მოქმედებს წახალისებისა და სანქციების სისტემა. ყოველწლიურად ხდება წარმატებულ მასწავლებელთა გამოვლენა მასწავლებლის თვითშეფასების, სამეცნიერო ცენტრის და დირექციის შეფასებების საფუძველზე. თანამშრომლის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვნად, არა კეთილსინდისიერად შესრულების, შრომის დისციპლინის, ეთიკის ნორმების დარღვევისა და საქმისადმი უპასუხისმგებლო მიდგომისათვის დირექტორი ღებულობს ადმინისტრაციულ ზომებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებელთა შეფასებისა და თვითშფასების ფორმები;<br>• შპს „ქართული სასწავლებელი-თბილისის “შინაგანაწესი;<br>• კონკურსის ჩატარების წესი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ქართული სასწავლებელი -თბილისსა" და ''ქართული სასწავლებელი - თბილისის" თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები . |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შ.პ.ს. „ქართული სასწავლებელი-თბილისის" დირექტორის 25.09.2020 #1/29 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ქართული სასწავლებელი - თბილისის" მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობის დებულება. დებულება ვრცელდება შპს „ქართული სასწავლებელი - თბილისი" მასწავლებლებზე და აწესრიგებს მასწავლებლის შეფასების მიზნით დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის და ქართული სასწავლებელი-თბილისის მასწავლებლების, მათ შორის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა საქმიანობას.<br>დებულების თანახმად მხრდამჭერი ჯგუფი ეხმარება მასწავლებელს პროფესიული საჭიროების დადგენასა და მისი გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვაში, უწევს ფასილიტაციას და მონიტორინგს მასწავლებლის საქმომედო გეგმის შესრულებისას.<br>სკოლა ზრუნავს ახალბედა, დამწყები მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზეც. კერძოდ, პროფესიული დახელოვნების მიზნით ასეთი მასწავლებლებისთვის შესაბამის აქტივობები გაწერილია სამეცნიერო ცენტრს დებულებაში. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაწესებულებას, ზოგადად სკოლაში დასაქმებული პერსონალის განვითრების მიზნით შექმნილი აქვს დამატებით შპს „ქართული სასწავლებლი-თბილისი“ -ს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები ( 1.10.2015 #1/18 ბრძანება, ცვლილება დირექტორის 10.07.2020 1/56ბრძანება), რომლებიც ითვალისწინებს პერსონალის შეფასებას, შეფასების შედეგების მიხედვით პერსონალის კვალიფიკაციაზე ზრუნვას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შ.პ.ს. „ქართული სასწავლებელი-თბილისის“ დირექტორის 25.09.2020 #1/29 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობის დებულება;<br>• სამეცნიერო ცენტრის დებულება;<br>• 2015 წლის 1.ივლისისN1/61 ბრძანება;<br>• ცვლილება 8.07.2020 1/55 . |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მოსწავლეებთან და პედაგოგებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სკოლაში არსებობს კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი გარემო. დაწესებულების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა სასკოლო საზოგადოებაში დაცულობას და პოზიტიურ ატმოსფეროს ქმნის.მოსწავლეებმა ისაუბრეს განხორციელებულ ღონისძიებებზე, რაც ხელს უწყობს მათი ინტერესების გამოვლენასა და მეგობრული, თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. მათ განსაკუთრებით მოსწონთ არსებული ბანაკები და წრეები. სკოლის ფოიეში მოწყობილი ღონისძიებების კუთხე, ნათელი დადასტურებაა, დაწესებულებაში მიმდინარე მრავალფეროვანი სასკოლო ცხოვრებისა. შემოქმედებითი ღონისძიებების გარდა მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა სახის საგნობრივ ოლიმპიადებში და კონფერენციებში. სკოლაში არსებული დამატებითი მომსახურებები, ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა ინტერესებისა და ნიჭის გამოვლენას. ამის ნათელი დადასტურებაა მოსწავლეების მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებების სახელმძღვანელოები. ყველა სტრუქტურულ ერთეულს აქვს კეთილმოწყობილი სამუშაო ოთახი, სტრუქტურული ერთეულების დებულებებით განსაზღვრულია შესაბამისი თანამშრომლების ფუნქცია- |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას და პასუხისმგებლობების გადანაწილებას.<br>სკოლის დირექტორმა და დირექტორის მოადგილემ ისაუბრეს სკოლაში არსებულ კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების, ტოლერანტობის, ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობითი გარემოს არსებობაზე.<br>სკოლაში ყოველწლიურად მეტი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე გათვლილი სერვისებისა და დაცვის სისტემების განვითარებას.<br>სკოლის დირექცია ზრუნავს და საშუალებას აძლევს, რომ სასკოლო საზოგადოების თითოეულმა წევრმა შეძლოს შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა და უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის თანაბრად გადანაწილებას.<br>ქართული სასწავლებლის მასწავლებლებს ახასიათებთ კეთილსინდისიერება, მიუკერძოებლობა. მასწავლებლები ცდილობენ სკოლაში დემოკრატიული, პატრიოტული ღირებულებების ჩამოყალიბებას. უფრთხილდებიან სკოლის ქონებას, ზრუნავენ საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე და პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას.<br>გარდა ამისა, სასწავლებელს შემუშავებული აქვს საქმიანობის ეფექტურობის ინდიკატორები, მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარები. მათი ანალიზი და გამოვლენილი შედეგების გამჭვირვალობა ხელს უწყობს სასწავლებლის საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების გრძნობის გაღრმავებას. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სასწავლებელში არის დაცულობის, კეთილგანწყობისა, ურთიერთპატივისცემის და თანამშრომლობითი გარემო. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

- დანართი 1 წერილი MES 2 21 0001153969 საათობრივი ბადის შეთანხმებაზე 4 ფურცელი;
- დანართი 2. საათობრივი ბადე. 2 ფურცელი

თბილისი

10.08.2022 წ.

(შევსების ადგილი) თარიღი
გვერდების რაოდენობა 42.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.